



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№4148

19 / მარტი / 2019 წ.

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტის“ აღმასრულებელ  
დირექტორს,  
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენ მიერ 2018 წლის 3 აგვისტოს წარმოდგენილ №01/15513 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ ქმედების განხორციელებას – საქართველოს ეროვნული არქივისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებას, გაცნობებთ შემდეგს:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო“. ამასთან, ხსნებული მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ „პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივისთვის“ არ არის უშუალოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, რამდენადაც, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მას დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად განსაზღვრულ მაკონტროლებელ ორგანოს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სამინისტროს მხრიდან სსიპ-ის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ სამინისტრო არის სსიპ-ის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი სტანდარტის მიხედვით.

შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული არქივის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიზნებისათვის და, ამდენად, უფლებამოსილს, განიხილოს მის მიერ მიღებული/გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/ქმედების კანონიერება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან იუსტიციის სამინისტრო მოკლებულია თქვენი მოთხოვნის ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში განხილვის შესაძლებლობას, გიბრუნდებათ თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი  
მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამგდარსულია/  
ელექტრონულად



მიხეილ სარჯველაძე